მანქანა-დანადგარების გარეგანი დაზიანების დაზღვევის პირობები
SME/CPM-001/2024

სარჩევი

მუხლი 1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანი 2

მუხლი 2. ტერმინთა განსაზღვრებანი 2

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები 3

3.1. დამზღვევი ვალდებულია: 3

3.2. დამზღვევს უფლება აქვს: 5

3.3. მზღვეველი ვალდებულია: 5

3.4. მზღვეველს უფლება აქვს: 6

მუხლი 4. დაზღვევის პოლისი 7

მუხლი 5. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო პრემია. 8

მუხლი 6. სადაზღვევო ანაზღაურება 8

მუხლი 7. გამონაკლისები 10

მუხლი 8. რეგრესის წესი 12

მუხლი 9. დავა და ზიანის ანაზღაურება 12

მუხლი 10. ფორს-მაჟორი 13

მუხლი 11. დაზღვევის/ხელშეკრულეგის შეწყვეტა 13

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები 14

მუხლი 1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანი

1.1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ წინამდებარე პირობების შესაბამისად დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე, დამზღვევის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული მანქანა- დანადგარების დაზღვევა ნებისმიერი სახის გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი დაზიანების ან განადგურებისაგან, რაც გამოწვეულია ნებისმიერი მიზეზით, გარდა წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

1.2. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი მანქანა-დანადგარების გარეგანი დაზიანების დაზღვევის ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისები. აღნიშნულ პოლისებზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე პირობებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისების გაცემა ხორციელდება შესაბამისი განაცხადის დამზღვევის მიერ შევსების საფუძველზე. აღნიშნული სადაზღვევო პოლისები, შესაბამისი განაცხადები და წინამდებარე პირობები წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას.

1.3. დაზღვევა ვრცელდება პოლისში მითითებულ ყველა დაზღვეულ საგანზე მხოლოდ იმ დროს, როდესაც ისინი გამოიყენება პოლისში მითითებულ დაზღვევის მოქმედების ტერიტორიაზე.

მუხლი 2. ტერმინთა განსაზღვრებანი

2.1. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ზოგიერთ ტერმინს გააჩნია ამ მუხლში ასახული მნიშვნელობა:

2.1.1. **დაზღვევის ხელშეკრულება** - წინამდებარე პირობები, დაზღვევვის პოლისი და დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადი, რომელიც აწესრიგებს მანქანა-დანადგარების დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2.1.2. **დამზღვევი** - პირი, რომელიც აფორმებს მზღვეველთან დაზღვევის ხელშეკრულებას და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

2.1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც წინამდებარე პირობების, შესაბამისი სადაზღვევო პოლისისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

2.1.4. **დაზღვევის პოლისი** - მზღვეველის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად, რომელიც გადაეცემა დამზღვევს და ასახავს მანქანა-დანადგარების დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებს. ამასთან, პოლისში დაფიქსირებულ მონაცემებსა და წინამდებარე პირობების დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პოლისს;

2.1.5. **ფრანშიზა** - შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ზარალის თანხას; სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევის მიმართ შეიძლება დადგენილი იქნას ცალ-ცალკე ფრანშიზები, რაც, ასევე, ასახვას ჰპოვებს შესაბამის სადაზღვევო პოლისში;

2.1.6. **მანქანა-დანადგარი** – პოლისში მითითებული მანქანა-დანადგარი (იგივე ქონება);

2.1.7. **დაზღვევის მოქმედების პერიოდი** - პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაში დაზღვევა ძალაშია;

2.1.8. **დაზღვევის ტერიტორია** - დაზღვევის განაცხადში მითითებული ტერიტორია რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დაზღვევა.

2.1.9. **დაზღვევის განაცხადი** - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებლი, მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.

2.1.10. **გადარჩენის ღირებულება** – ღირებულება, რომელიც მანქანა-დანადგარს დარჩენილი აქვს სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების შედეგად დაზიანება/გადანდგურების შემდეგ.

2.2. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუკი პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები

3.1. დამზღვევი ვალდებულია:

3.1.1. დროულად, წინამდებარე პირობებით და პოლისით დადგენილი წესით გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

3.1.2. სრულყოფილად შეავსოს დაზღვევის განაცხადი და შეატყობინოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა იქონიოს გავლენა სადაზღვევო რისკის შეფასებაზე;

3.1.3. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან აიცილოს დანაკარგი, განადგურება ან ზიანი; საკუთარი ხარჯებით მიიღოს სიფრთხილის ყველა სათანადო ზომა და დაემორჩილოს მზღვეველის/მწარმოებელთა ყველა სათანადო მითითებას/რეკომენდაციას, რათა თავიდან აიცილოს ზარალი ან დაზიანება და შეასრულოს კანონის მოთხოვნები;

3.1.4. წერილობით დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო რისკის ნებისმიერი მატერიალური ცვლილების და დაზღვეული საგნების უსაფრთხო მუშაობის უზრუნველსაყოფად საკუთარი ხარჯებით ისეთი დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღების შესახებ, რომლებიც აუცილებელია შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს დაზღვევის მოცულობის ან/და სადაზღვევო პრემიის კორექტირება. დაუშვებელია დამზღვევის მიერ ისეთი ცვლილებების განხორციელება ან ასეთი ცვლილებების განხორციელების დაშვება, რომლის შედეგადაც გაიზრდება სადაზღვევო რისკი, თუ დაზღვევის გაგრძელება წერილობით არ იქნა დადასტურებული მზღვეველის მიერ;

3.1.5. რაიმე სახის ზიანის ან განადგურების ხდომილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს;

3.1.6. შეინახოს დაზიანებული ნაწილები და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა მზღვეველის წარმომადგენლის ან ექსპერტებისათვის;

3.1.7. შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს, თუ დანაკარგი ან ზიანი გამოწვეულია ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით;

3.1.8. მხოლოდ მზღვეველის მითითების საფუძველზე განახორციელოს ნებისმიერი უმნიშვნელო დაზიანების რემონტი ან შეცვალოს საგნები, რომლებმაც განიცადეს მცირე დაზიანება; ყველა სხვა შემთხვევაში,

ნებისმიერი რემონტის ან ცვლილების განხორციელებამდე მზღვეველის წარმომადგენელს უნდა მიეცეს ზარალის ან ზიანის შემოწმების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის წარმომადგენელი არ განახორციელებს შემოწმებას დროის იმ პერიოდში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად, დაზღვეულს უფლება ექნება თვითონ განახორციელოს რემონტი ან შეცვლა. ზემოხსენებული არ უკრძალავს დამზღვევს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია სამუშაო ობიექტზე სამუშაოების გასაგრძელებლად.

3.1.9. გადასცეს მზღვეველს პრეტენზიასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი მტკიცებულება და ინფორმაცია პრეტენზიის ნამდვილობის და მასთან დაკავშირებული ნებიმიერი საკითხის წერილობით დადასტურებასთან ერთად (მოთხოვნის შემთხვევაში). პრეტენზია არ დაკმაყოფილდება, თუ დამზღვევი არ შეასრულებს წინამდებარე დებულების მოთხოვნებს;

3.1.10. მზღვეველის ხარჯით განახორციელოს ან მხარი დაუჭიროს ყველა ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც აუცილებელია ან მოთხოვნილია მზღვეველის მიერ სამართლებრივი დაცვის განხორციელების მიზნით ან იმ მესამე პირთათვის მოთხოვნის წაყენების ან მათგან ზარალის ანაზღაურების მისაღებად, რომლებიც ვალდებულნი არიან აანაზღაურონ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი ზარალი ან ზიანი, იმის მიუხედავად აუცილებელია, ან გახდება თუ არა ამგვარი ქმედებების განხორციელება აუცილებელი მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდამდე თუ ამგვარი ანაზღაურების გადახდის შემდეგ;

3.1.11. დაზღვევის მოქმედების პერიოდში საქმიანობის ტიპის ნებაყოფლობითი შეცვლის შემთხვევაში მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება საქმიანობის ცვლილების შესახებ 30 დღით ადრე და აუცილებლობის შემთხვევაში გადაიხადოს დამატებითი პრემია. საქმიანობის ტიპის სავალდებულო შეცვლის შემთხვევაში, მზღვეველს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს აღნიშნული ცვლილებიდან 7 დღის განმავლობაში.

3.1.12. სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების შემთხვევაში:

ა. გაატაროს ყველა შესაძლებელი და შესაბამისი ზომა, რათა დაადგინოს სადაზღვევო შემთხვევის მიზეზები, განვითარება და შედეგები;

ბ. დაუყოვნებლივ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში მის ხელთ არსებული და მზღვეველისათვის შეტყობინებული ფაქტის ობიექტურად დამადასტურებელი ნებისმიერი საშუალებით აცნობოს მზღვეველს და კომპეტენტურ უფლებამოსილ ორგანოებს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

გ. დაუყოვნებლად აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ;

დ. განახორციელოს ყველა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ღონისძიება, რათა თავიდან აიცილოს ან შეამციროს ზარალი;

ე. უზრუნველყოს მზღვეველის მონაწილეობა დაზიანებული ქონების შემოწმებაში და დამდგარი ზარალის შეფასებაში;

ვ. საკუთარი ხარჯებით მიაწოდოს მზღვეველს ზიანის დადგომიდან 14 კალენდარული დღის (7 კალენდარული დღის - იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია აჯანყების და/ან სამოქალაქო არეულობის ან მესამე პირთა განზრახი ქმედებების შედეგად) განმავლობაში წერილობითი პრეტენზია, რომელიც შეიცავს სადაზღვევო შემთხვევის გარემოებათა აღწერას და დამდგარი ზიანის წინასწარ გამოთვლას და განადგურებული ან დაზიანებული ქონების ან მისი ნაწილების ჩამონათვალს, დაზიანების ან განადგურების მომენტში არსებული ღირებულების გათვალისწინებით და ასევე აღნიშნულ ქონებაზე არსებული სხვა დაზღვევის დეტალებს. დამზღვევი ასევე ვალდებულია, გადასცეს მზღვეველს პრეტენზიასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი

მტკიცებულება და ინფორმაცია პრეტენზიის ნამდვილობის და მასთან დაკავშირებული ნებიმიერი საკითხის წერილობით მტკიცებულებასთან ერთად (მოთხოვნის შემთხვევაში). პრეტენზია არ დაკმაყოფილდება, თუ დამზღვევი არ შეასრულებს წინამდებარე პუნქტის მოთხოვნებს.

3.1.13. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველს ასევე წარუდგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

ა) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;

ბ) შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით

გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭიდთა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, გამომწვევი მიზეზი, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები) (ასეთის არსებობისას), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები;

გ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით და ასეთი პირის ვინაობა ცნობილია, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ქონება არ წარმოადგენს დამზღვევის (მოსარგებლის) საკუთრებას მესაკუთრის წერილობითი განცხადება მოსარგებლისათვის ანაზღაურების მიღების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

3.2. დამზღვევს უფლება აქვს:

3.2.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

3.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს მონაწილეობა მისი გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდის და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;

3.2.3. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებით და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

3.3. მზღვეველი ვალდებულია:

3.3.1. გადასცეს დამზღვევს სადაზღვევო პოლისი;

3.3.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეამოწმოს დაზიანებული ქონება და დაადგინოს მიყენებული ზარალის ოდენობა და შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი მას შემდეგ, რაც მიიღებს დამზღვევისაგან სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებისა და ზიანის ოდენობის დასადგენად აუცილებელ, ამ პირობებით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტს;

3.3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადსტურებისას, დამზღვევს (მოსარგებლეს) გადაუხადოს სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველისა და დამზღვევის მიერ სადაზღვევო აქტის, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია, ხელმოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

3.3.4. არ გაახმაუროს ინფორმაცია დამზღვევის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

3.4. მზღვეველს უფლება აქვს:

3.4.1. მხოლოდ იმ მოცულობით აღადგინოს დაზღვეული ქონება, რომლის საშუალებასაც იძლევა გარემოებები და არცერთ შემთხვევაში თითოეული დაზღვეული საგნისათვის განსაზღვრულ სადაზღვევო თანხაზე მეტი ოდენობით.

3.4.2. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობების და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

3.4.3. შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა მანქანა- დანადგარების ექსპლოატაციის პირობები;

3.4.4. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია;

3.4.5. გააგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

3.4.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის; 3.4.7. მოახდინოს დამზღვევის დაზიანებული მანქანა-დანადგარების დათვალიერება და ფოტოგადაღებები;

3.4.8. შეადგინოს დაზიანებული (განადგურებული) ქონების აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

3.4.9. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ქონებაზე, ხოლო ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის გამო სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას დაკარგული ქონების პოვნის შემთხვევაში _ ნაპოვნ ქონებაზე;

3.4.10. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

3.4.11. თუ ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გაირკვა, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, გამოიყენოს რეგრესის წესი და მოითხოვოს ანაზღაურება გაცემული სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

3.4.12. გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

3.4.13. დაზღვევის პერიოდის ამოწურვამდე დაზღვეული ქონების ან მისი ნაწილის სრული განადგურების ან დაკარგვის გამო სრული ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, მიიჩნიოს დაზღვევის ხელშეკრულება დასრულებულად შესაბამისი მანქანა-დანადგარის დაზღვევის ნაწილში;

3.4.14. არ აანაზღაუროს ზარალი, თუ დამზღვევმა (მოსარგებლემ) სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

3.4.15. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას;

3.4.16. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამის დავალიანების თანხა.

3.4.17. წარმომდგენლის ნმეშვეობითნებისმიერ დროს შეამოწმოს და შეისწავლოს რისკი, ხოლო დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მზღვეველის წარმომადგენელი ყველა აუცილებელი დოკუმენტითა და ინფორმაციით;

3.5. მზღვეველის პასუხისმგებლობა წყდება წინამდებარე პირობების თანახმად დაზღვეულ საგანზე, რომელიც დაზიანდა, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ არ განხორციელდება აღნიშნული საგნის სათანადო დროული შეკეთება.

მუხლი 4. დაზღვევის პოლისი

4.1. დაზღვევა ხორციელდება დამზღვევისათვის ამ უკანასკნელის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე მხარეთა მიერ ხელმოწერილი დაზღვევის პოლისის გაცემის გზით; წინამდებარე პირობები, დაზღვევის პოლისი და დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადი წარმოადგენს ერთიან განუყოფელ დოკუმენტს და განიხილება ერთობლიობაში.

4.2. მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის პოლისის გაცემის მიზნით მოითხოვოს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც იძლევიან რისკის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას;

4.3. დაზღვევის პოლისი გაიცემა ერთი წლის ვადით, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

4.4. დაზღვევა შედის ძალაში დაზღვევის პოლისში მითითებული თარიღიდან, მაგრამ არაუადრეს მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციაში გაშვების მომენტისა, ამასთან მზღვეველი არ აგებს პასუხს იმ ზარალზე, რომელიც დადგა დამზღვევის მიერ პრემიის ან პრემიის პირველი შესატანის (განვადებით გადახდის შემთხვევაში) გადახდამდე;

4.5. დაზღვევის პოლისის საფუძველზე მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ წინამდებარე პირობებითა და პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება, ხოლო დამზღვევი ვალდებულია პოლისით გათვალისწინებულ ვადებში გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

4.6. დაზღვევის მოქმედების პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში დამზღვევს წერილობითი განცხადების საფუძველზე გადაეცემა დუბლიკატი, რის შემდეგაც დაკარგული პოლისი ითვლება ძალადაკარგულად და მის საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა.

4.7. დაზღვევის პოლისის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის ზრდის შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა;

4.8. დაზღვევის პირობების ცვლილების ან დამატებითი პრემიის გადახდის თაობაზე დამზღვევის მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს დაზღვევის პოლისიაღნიშნული ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან;

4.9. დაზღვევის პირობების შეცვლის შემთხვევაში, მათ შორის, რისკის ხარისხის ცვლილების, დაზღვევის მოცულობის, დაზღვევის პოლისის მოქმედების ვადის ან სადაზღვევო პრემიის ცვლილებისას, მხარეებს შორის ფორმდება დაზღვევის პოლისის დანართი რომელსაც ხელს აწერენ მხარეები;

მუხლი 5. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო პრემია

5.1. სადაზღვევო თანხას წარმოადგენს მხარეთა მიერ დაზღვევის პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება.

5.2. წინამდებარე პირობების თანახმად სადაზღვევო თანხა უნდა შეესაბამებოდეს დაზღვეული მანქანა-დანადგარების ახალი, იმავე ტიპის და შესაძლებლობების მქონე მანქანა- დანადგარებით შეცვლის ღირებულებას, რაც გულისხმობს მისი შეცვლის ფასს, მაგ.: ტრანსპორტირების ხარჯებს, მოსაკრებლებს და საბაჟო გადასახადებს და დამონტაჟების ღირებულებას. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ქონების სადაზღვევო ღირებულებაზე, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს სადაზღვევო თანხისა და აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების შეფარდების შესაბამისად ანუ ასანაზღაურენელი ზიანის თანხა შემცირდება ისეთივე პროპორციით, როგორსაც შეადგენს სადაზღვევო თანხა სადაზღვევო ქონების აღდგენით (შენაცვლებით) ღირებულებასთან მიმართებაში. ეს პირობა შეეხება ნებისმიერცალკეულ დაზღვეულ ობიექტს.

5.3. მხარეთა შეთანხმებით პოლისში შეიძლება დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში განისაზღვროს მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურებისას მზღვეველის პასუხისმგებლობის ზღვრულ ოდენობას.

5.4. მზღვეველს შეუძლია დაადგინოს ანაზღაურების ქველიმიტი თითოეული რისკისათვის და/ან ყოველი სადაზღვევო შემთხვევისათვის.

5.5. სადაზღვევო პრემია (სადაზღვევო შესატანი) წარმოადგენს დაზღვევის ღირებულებას, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

5.6.სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად ან განვადებით. სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება დაზღვევის პოლისით. ამასთან დაზღვევის პოლისში მხარეები განსაზღვრავენ განვადებით გადახდის კონკრეტულ წესს.

5.7. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, ხოლო თუ სადაზღვევო პოლისი პროლონგირებადია (მრავალწლიანია), როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

5.8. სადაზღვევო პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხ- დელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.

მუხლი 6. სადაზღვევო ანაზღაურება

6.1.დაზღვეული საგნის დაზიანების შეკეთების (აღდგენის) შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს დაზიანებული მანქანა-დანადგარის პირველად მუშა მდგომარეობაში აღსადგენად გაწეული აუცილებელი ხარჯები და რემონტის ჩატარების მიზნით განხორციელებული დემონტაჟის და ხელახალი მონტაჟის, შემკეთებელ სახელოსნომდე და სახელოსნოდან ჩვეულებრივი ტრანსპორტირების ღირებულება

და საბაჟო გადასახადები და მოსაკრებელები (მათი არსებობის შემთხვევაში) იმ მოცულობით, რომლითაც ხსენებული ხარჯები ჩართულია სადაზღვევო თანხაში.

იმ შემთხვევაში, თუ რემონტი შესრულდება დამზღვევის სახელოსნოში, მზღვეველი აანაზღაურებს მასალის ღირებულებასა და შეკეთებისათვის გადახდილ ხელფასს და ასევე გონივრულ პროცენტს ზედდებული ხარჯების დასაფარად.

შეცვლილი ნაწილებისათვის ამორტიზაციის გამოქვითვა არ განხორციელდება, თუმცა, გათვალისწინებული და გამოკლებული იქნება დაზღვეული მანქანა-დანადგარის ნებისმიერი გადარჩენის ღირებულება.

თუ ზემოაღნიშნულის შესაბამისად რემონტის ხარჯები უთანაბრდება ან აღემატება დაზღვეული მანქანა-დანადგარის ფაქტობრივ ღირებულებას უშუალოდ დაზიანების წინ, მანქანა-დანადგარი უნდა ჩაითვალოს განადგურებულად და მიღებული უნდა იქნას გადაწყვეტილება 6.2. პუნქტის მიხედვით.

6.2. დაზღვეული მანქანა-დანადგარის განადგურების შემთხვევაში მზღვეველმა უნდა გადაიხადოს უშუალოდ განადგურების წინ საგნის ფაქტობრივი ღირებულება, ჩვეულებრივი ტრანსპორტირების, დამონტაჟების ხარჯების და საბაჟო მოსაკრებელების ჩათვლით (მათი არსებობის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ ამგვარი ხარჯები გათვალისწინებულია სადაზღვევო თანხაში. ასეთი ფაქტობრივი ღირებულება უნდა დაანგარიშდეს საგნის შეცვლის (შენაცვლებითი) ღირებულებიდან შესაბამისი ამორტიზაციის/ცვეთის გამოკლებით. მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს განადგურებული მანქანა-დანადგარის დემონტაჟის ნებისმიერი ნორმალური ხარჯიც, თუმცა სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან, ფრანშიზასთან ერთად, გამოკლებული უნდა იქნას გადარჩენის ღირებულება ან გადანდგურებული მანქანა-დანადგარი უნდა გადაეცეს მზღვეველს საკუთრებაში, ამასთან, აღნიშნული ალტერნატივიდან რომელი იქნება გამოყენებული, წარმოადგენს მხოლოდ მზღვეველის არჩევანსა და უფლებამოსილებას.

6.3. ნებისმიერი დამატებითი ხარჯი, რომელიც გაწეულია ზეგანაკვეთური, ღამით ან უქმე დღეებში მუშაობასთან და სასწრაფო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის თაობაზე არსებობს მზღვეველსა და დამზღვევს შორის წინასწარი წერილობითი შეთანხმება.

6.4. წინამდებარე პირობებით არ ეზღვევა და შესაბამისად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქონების ნებისმიერი ცვლილების, დამატების, გაუმჯობესების ან რეკონსტრუქციის ხარჯები; 6.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი აანაზღაურებს ნებისმიერი დროებითი რემონტის ხარჯს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი რემონტი წარმოადგენს საბოლოო რემონტის ნაწილს და არ ზრდის რემონტის საერთო ღირებულებას.

6.6. მესამე პირის სასარგებლოდ განხორციელებული დაზღვევისას ბენეფიციარი / მოსარგებლე უფლებამოსილია, განახორციელოს დამზღვევის უფლებები საკუთარი სახელით. ბენეფიციარს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ ფლობს დაზღვევის პოლისს, აქვს უფლება დამზღვევის თანხმობის გარეშე მიიღოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი ანაზღაურება. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულებები დაზღვევაზე და/ან სადაზღვევო ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე და ბენეფიციარის მიერ ანაზღაურების მიღებაზე დამზღვევის თანხმობის თაობაზე.

6.7. თუ დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებით და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხმები ჯამში საბაზრო/ფაქტობრივ ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის

ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულიადამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში(სადაზღვევო პოლისში), მაგრამ დამზღვევსარ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

6.8. მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება:
ა) თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის/მოსარგებლის/მისი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; ან ბ) არსებობს გონივრული ეჭვი დამზღვევის/მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებასთან დაკავშირებით, აუცილებელი საპირისპირო მტკიცებულებების მიღებამდე.

6.9. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის

ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

6.10. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდგომ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობით.

6.11. ქონების განადგურებისას, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელ თანხას დააკლდება ასეთი მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) თანხა.

მუხლი 7. გამონაკლისები

7.1. მზღვეველი არ აგებს პასუხს:

7.1.1. პოლისში მითითებულ ფრანშიზაზე;

7.1.2. მანქანა-დანადგარების და/ან ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილ შიდა ელექტრონულ და/ან მექანიკურ გაუმართაობაზე, მოუგვარებლობაზე, მტვრევაზე, მოშლაზე, ასევე, დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მექანიზმების დანაგვიანება/გაჭედვით, მწყობრიდან გამოსვლით, გადტვირთვით, გადახურებით, ვიბრაციით, წნევის ცვლილებით, საპოხ-გამაგრილებელი ემულსიის ან სხვა ნივთიერების გაყინვით, უხარისხო გაპოხვით ან ზეთის ან საპოხ-გამაგრილებელი ემულსიის უკმარისობით. თუმცა, თუ მანქანა-დანადგარის/მოწყობილობის მუშაობის მოშლის შედეგად მოხდება ავარია,რომელიც გარეგან დაზიანებას გამოიწვევს, ეს თანმდევი გარეგანი დაზიანება ანაზღაურდება მზღვეველის მიერ;

7.1.3. საცვლელი ნაწილების, მაგალითად: კბილანის, ბურღის, დანის ან სხვა საჭრელი მოწყობილობის, ხერხის პირის, კლუპის, ყალიბის, პულვერიზატორის, ღვედების, ბაგირების, რეზინის საბურავების,

დამაკავშირებელი მავთულების, კაბელების, ჯაჭვების, კონვეიერის ან ლიფტის ლენტების, ელემენტების, მოქნილი მილებისა, შესაფუთი მასალების, ზეთის ან საპოხ-გამაგრილებელი სითხეების ან სხვა რეგულარულად საცვლელი ნაწილების დანაკარგზე ან დაზიანებაზე;

7.1.4. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი სახის ბოილერის ან წნევის საფუძველზე მოქმედი ხელსაწყოს, რომელიც წარმოადგენს შიდა ორთქლის ან სითხის შედეგად წარმოქმნილი წნევის საგანს ან ნებისმიერი სახის შიდა წვის ძრავის აფეთქებით;

7.1.5. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც მიადგა საგზაო გამოყენების მიზნით წარმოებულ, ლიცენზირებულ და/ან რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები გამოიყენება მხოლოდ სამშენებლო ობიექტზე;

7.1.6. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც მიადგა ხომალდს ან სხვა საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებას;

7.1.7. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მიქცევის ან მოქცევის, წყლების მთლიანი ან ნაწილობრივი მომატებით;

7.1.8. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც დადგა მანქანა-დანადგარის გადაზიდვის/ტრანსპორტირების პროცესში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული პოლისით;

7.1.9. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც წარმოადგენს ექსპლუატაციის უწყვეტი ზეგავლენის შედეგს (მაგალითად, ცვეთა, კავიტაცია, ეროზია, კოროზია, ჟანგვა, გაუარესება გამოუყენებლობის და ნორმალური ატმოსფერული პირობების არარსებობის შედეგად);

7.1.10. დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომელიც დადგა დაზღვეული საგნის ნებისმიერი სახის ტესტირების პროცესში ან არა დანიშნულებისამებრ გამოყენებით;

7.1.11. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც მიადგა მიწისქვეშ მომუშავე მანქანა-დანადგარს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული პოლისით;

7.1.12. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან გამომდინარეობს ან გაზრდილია ომის, დაპყრობის, უცხოელი მტრის ქმედების, საომარი მოქმედებების (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომის, აჯანყების, რევოლუციის, ამბოხების, ბუნტის, გაფიცვის, ლოკაუტის, სამოქალაქო მღელვარების, სამხედრო ან უზურპირებული ხელისუფლების, ბოროტმოქმედთა ან ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციიის სახელით ან მასთან დაკავშირებული პირებთა ჯგუფის, კონსპირაციის, დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების ან ნებისმიერი საჯარო ხელისუფლების ბრძანების საფუძველზე განადგურების ან დაზიანების, კონფისკაციის ან რეკვიზიციის შედეგად;

7.1.13. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან წარმოიქმნა ან გაიზარდა ბირთვული რეაქციის, ბირთვული რადიაციის ან რადიოაქტიული დაბინძურების შედეგად;

7.1.14. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი დაზიანებით ან დეფექტით, რომელიც არსებობდა წინამდებარე პოლისის მოქმედების დაწყებამდე და ცნობილი იყო დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის, იმის მიუხედავად იცოდა თუ არა ამგვარი დაზიანების ან დეფექტის შესახებ მზღვეველმა;

7.1.15. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია, გამომდინარეობს ან გაიზარდა დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი _ წარმომადგენლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით;

7.1.16. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელზედაც კანონის თანახმად ან კონტრაქტის საფუძველზე პასუხისმგებელია მანქანა-დანადგარის მომწოდებელი ან მწარმოებელი;

7.1.17. ნებისმიერი სახის არაპირდაპირ დანაკარგზე ან პასუხისმგებლობაზე;

7.1.18. დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც ცნობილი გახდება მხოლოდ აღწერის ან გეგმიური შეკეთების დროს;

7.2. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის პოლისის მოქმედების პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევებს:

7.2.1. დამზღვევმა ან მისმა წარმომადგენელმა ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევასთან;

7.2.2. დამზღვევმა ან მისმა წარმომადგენელმა არ მიაწოდა მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაცია იმ ვადებში, რომელიც განსაზღვრულია დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დგინდება, რომ მზღვეველმა თავის დროზე გაიგო მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ან მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა ვერ მოახდენდა არსებით გავლენას მის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებაზე; 7.2.3. დამზღვევმა განზრახ არ მიიღო მისთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომები, რაც გახდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზი;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, ან თუ დამზღვევის მიერ წამოყენებული მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე არის ყალბი ან გადაჭარბებული, ან თუ მოთხოვნის დასასაბუთებლად წარმოდგენილია ყალბი ან წინასწარი შეცნობით არასწორი ინფორმაცია, წინამდებარე პირობების თანახმად განხორციელებული დაზღვევა ჩაითვლება გაუქმებულად და მზღვეველს ნებისმიერი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება;

7.4. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი დამზღვევს წარედგინება წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული უნდა იყოს ანაზღაურებაზე უარის თქმის მიზეზები შესაბამისი დასაბუთებით.

7.5. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის განცხადება შეიძლება გასაჩივრდეს დამზღვევის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. რეგრესის წესი

8.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, ორიგინალის ან სათანადოდ დამოწმებული ასლის სახით, რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

8.2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

მუხლი 9. დავა და ზიანის ანაზღაურება

9.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. დაზღვევის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე მედიაცია@ინსურანცე.ორგ.გე - „დაზღვევის მედიაციის" მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 9.1. პუნქტის შესაბამისად.

9.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

10.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

მუხლი 11. დაზღვევის/ხელშეკრულეგის შეწყვეტა

11.1. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

11.1.1. მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

11.1.2. მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

11.1.3. შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

11.1.4. თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში); 11.1.5. თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

11.1.6. ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში).

11.1.7. თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

11.1.8. მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

11.1.9. საქართველოს კანონმდებლობითა და/ან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

11.2. მზღვეველის ინიციატივით სადაზღვევო პოლისის/დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის(გარდა წინამდებარე პირობების 11.1.1, 11.1.3, 11.1.4. და 11.1.6. პუნქტებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ შეწყვეტა არ არის განპირობებული დამზღვევის მიზეზით/ბრალით და იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისისორიგინალს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში და ასევე, 11.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით.

11.3. დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო პოლისის/დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის იგი ვალდებულია, გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია პროპორციულად. ამასთან, გამომუშავებული სადაზღვევო პრემია ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება დამზღვევის მიერ გადახდას. მიუხედავად აღნიშნულისა, 11.4. პუნქტით დადგენილი პირობა ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული.

11.4. დაზღვევის ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში კონკრეტულ დაზღვეულ ქონებასთან/პოლისთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია ასეთ ქონებასთან/პოლისთან მიმართებაში დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას კი - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას თუ იგი დაიდებობა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

12.3. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადფილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

12.4. დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და დაზღვევის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული

ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს"

(რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

12.5. დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება ამისათვის;

12.6. დაზღვევის ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე.

12.7. დაზღვევის ხელშეკრულებზე ხელმოწერით, დამზღვევი ანიჭებს უფლებამოსილებას მზღვეველს, მზღვეველის ან მზღვეველის აფილირებული პირის მიერ მზღვეველის საქმიანობის რეკლამირებისას, საქმიანობის შესახებ საჯარო განცხადების (მათ შორის წერილობით, მასობრივად ხელმისაწვდომი საშუალებით, ინტერნეტით და სხვა) გაკეთებისას მიუთითოს დამზღვევი, როგორც მზღვეველის კლიენტი, მიუთითოს დაზღვევის ხელშეკრულების არსებობაზე (კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვით) და ამ მიზნით დამზღვევის აღსანიშნავად გამოიყენოს დამზღვევის საფირმო სახელწოდება ან/და სასაქონლო ნიშანი (მათ შორის ის სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც დამზღვევი იყენებს სასაქონლო ნიშნის მესაკუთრისგან / მფლობელისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე).